თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6126171

ნომერი: AR1866910

თარიღი : 27.07.2022

გაცემის თარიღი : 16.09.2022

გაცნობის თარიღი : 16.09.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N91;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 27 ივლისს №AR1866910 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6018951 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 03 აგვისტოს №6065242 ბრძანებით დაგიდგინდათ ხარვეზები და დაგევალათ დაგეზუსტებინათ მოთხოვნა და წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია, კერძოდ: შეთანხმებული -3.00 და -6.00 ნიშნულის გეგმების იდენტური -3.00 და -6.00 გეგმები ავტოსადგომების ნუმერაციის ცვლილების და ავტოსადგომების გადაადგილების გარეშე, მხოლოდ ფართობების დაზუსტებით.
განმეორებით წარმოდგენილ განცხადებაში კვლავ გამოვლინდა, ხარვეზები, კერძოდ: კვლავ შეცვლილია ავტოსადგომების ნუმერაცია და გადაადგილებულია ავტოსადგომები (მაგ.: სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6018951 ბრძანებით შეთანხმებულ -6.00 ნიშნულის (-2 სართული) გეგმაზე მდებარეობს №9 შიდა ავტოსადგომი, ხოლო, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ -6.00 ნიშნულის გეგმაზე №9 შიდა ავტოსადგომის ადგილას მდებარეობს №7 შიდა ავტოსადგომი). მაგალითისთვის, ასევე, აღსანიშნია რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882021689289; მომზადების თარიღი: 16/08/2021 წ.) №63 შიდა ავტოსადგომი მდებარეობს -1 სართულზე (-3.00 ნიშნული), ხოლო, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმების მიხედვით №63 შიდა ავტოსადგომი მდებარეობს -2 სართულზე (-6.00 ნიშნული). ამასთან, -3.00 ნიშნულის გეგმაზე III და IV ბლოკების შიდა ავტოსადგომების ფართობში ასევე დაანგარიშებულია I და II ბლოკების შიდა ავტოსადგომების ფართობები. ასევე, არ არის დაზუსტებული მოთხოვნა შიდა ავტოსადგომების და საერთო ფართობებთან და ღია ავტოსადგომების ჯამურ ფართობთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია სამსახურის 2022 წლის 03 აგვისტოს №6065242 ბრძანების შესაბამისად და ამასთან, სამსახურის მიერ ხარვეზების გამოსასწორებლად დადგენილი 30 სამუშაო დღე გამოყენებულია სრულად, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2022 წლის 27 ივლისის №AR1866910 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.